საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/39

ქ. ბათუმი 10 მარტი, 2021 წელი

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის შემოდგომაზე სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01-02/112 ბრძანებაში" ცვლილებების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 8 თებერვლის №01-02/12 ბრძანების, „2017-2018 წლის სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 მაისის №01-09/349 ბრძანების, „2017-2018 წლის სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 მაისის №01-09/349 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 29 მაისის №01-09/351 ბრძანების, „2018 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 27 ნოემბრის №01-09/786 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019 წლის საგაზაფხულო მიღების სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 31 მაისის №01-08/292 ბრძანების, „2019 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 ნოემბრის №01-08/705 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2021 წლის 05 მარტის №197488 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის გაზაფხულზე - **2021 წლის 15 მარტიდან** სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების (დაწყების/დასრულების) და კვალიფიკაციის მინიჭების ვადები განისაზღვროს **დანართი** 1-ის შესაბამისად:

ა) 2018 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის;

ბ) 2018 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის;

გ) 2019 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის;

დ) 2019 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის;

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სამუშაო ადგილზე, ბსუ-ს ფაკულტეტების (იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა; ზუსტ მეცნიერებათა და განათლების; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის; ტექნოლოგიური) და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებ გვერდზე.

3. დაევალოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს უზრუნველყოს:

ა) ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი, წინამდებარე ბრძანების შესაბამისი განცხადების მომზადება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება;

ბ) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელების, პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება, მათ ელექტრონულ ფოსტაზე შესაბამისი ინფორმაციისა და წინამდებარე ბრძანებით დაგზავნით.

4. წინამდებარე ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (სასწავლო პროცესის მიმართულებით), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს) და პროგრამის პერსონალს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის შემოდგომაზე სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 04 სექტემბრის N01-02/112 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 10 მარტის N 01-02/39 ბრძანების

დანართი 1

2018 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის

#	პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის კოდი, დასახელება, სწავლების საფეხური	პროგრამის განხორციელების ვადები	სააუდიტორიო მეცადინეობის დაწყება და დასრულება	საწარმოო პრაქტიკის დაწყება და დასრულება	პრაქტიკის დაცვა	კვალიფიკაციის მინიჭება
1	09101 პრაქტიკოსი ექთანი - V საფეხური	30.05.2018-28.08.2021	15.03.2021 – 12.06.2021	14.06.2021 – 28.08.2021	15.09.2021-17.09.2021	22.09.2021 – 24.09.2021
2	01101 ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი - V საფეხური	30.05.2018-29.05.2021		15.03.2021-29.05.2021	05.06.2021-07.06.2021	12.06.2021-14.06.2021

2018 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის

#	პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის კოდი, დასახელება, სწავლების საფეხური	პროგრამის განხორციელების ვადები	სააუდიტორიო მეცადინეობის დაწყება და დასრულება	საწარმოო პრაქტიკის დაწყება და დასრულება	პრაქტიკის დაცვა	კვალიფიკაციის მინიჭება
1	09101 პრაქტიკოსი ექთანი - V საფეხური	29.11.2018-29.01.2022	15.03.2021-23.10.2021	25.10.2021-29.01.2022	02.02.2022-04.02.2022	09.02.2022-11.02.2022
2	01101 ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი - V საფეხური	29.11.2018-16.10.2021	15.03.2021-22.05.2021	07.06.2021-16.10.2021	20.10.2021-22.10.2021	26.10.2021-29.10.2021

2019 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის

#	პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის კოდი, დასახელება, სწავლების საფეხური	პროგრამის განხორციელების ვადები	სააუდიტორიო მეცადინეობის დაწყება და დასრულება	საწარმოო პრაქტიკის დაწყება და დასრულება	პრაქტიკის დაცვა	კვალიფიკაციის მინიჭება
1	07302 არქიტექტორ - ტექნიკოსი - IV საფეხური	03.06.2019-23.10.2021	15.03.2021-12.06.2021	14.06.2021-23.10.2021	28.10.2021-30.10.2021	04.11.2021-06.11.2021
2	01101 ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი - V საფეხური	03.06.2019-26.02.2022	15.03.2021 – 27.11.2022	29.11.2021-26.02.2022	09.03.2022-11.03.2022	16.03.2022-18.03.2022

2019 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის

#	პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის კოდი, დასახელება, სწავლების საფეხური	პროგრამის განხორციელების ვადები	სააუდიტორიო მეცადინეობის დაწყება და დასრულება	საწარმოო პრაქტიკის დაწყება და დასრულება	პრაქტიკის დაცვა	კვალიფიკაციის მინიჭება
1	08101 მეფუტკრე - III საფეხური	25.11.2019-18.12.2021	15.03.2021 – 16.10.2021	18.10.2021- 18.12.2021	22.12.2021 – 24.12.2021	26.29.2021 – 28.12.2021
2	06107 ვებ ინტერფეისის დიზაინერი - III საფეხური	25.11.2019-23.10.2021	15.03.2021-26.06.2021	12.06.2021 – 23.10.2021	01.11.2021 - 04.11.2021	09.11.2021 - 12.11.2021
3	06106 ვებ ინტერფეისის დეველოპერი - III საფეხური	25.11.2019-23.10.2021	15.03.2021-26.06.2021	12.06.2021 – 23.10.2021	01.11.2021 - 04.11.2021	09.11.2021 - 12.11.2021
4	070852 ბიბლიოთეკარი - IV საფეხური	25.11.2019-11.04.2022	15.03.2021-31.12.2021	11.01.2022-11.04.2022	18.04.2022-20.04.2022	28.04.2022-30.04.2022
5	07302 არქიტექტორ - ტექნიკოსი - IV საფეხური	25.11.2019-29.01.2022	15.03.2021 – 16.10.2022	18.10.2021-29.01.2022	03.02.2022-05.02.2022	10.02.2022-12.02.2022